



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



ბრძანება:ბ92. 922315237

თარიღი:01/06/2023

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 27 თებერვლის "ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების თაობაზე" №92.922305815 ბრძანების დანართში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

მუხლი 1. შევიდეს ცვლილება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 27 თებერვლის "ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების თაობაზე" №92.922305815 ბრძანების დანართში და ჩამოყალიბდეს ახალი დანართი 1-ს შესაბამისად.

მუხლი 2. ბრძანების ყველა სხვა პუნქტი დარჩეს უცვლელად.

მუხლი 3. ბრძანება ძალაში შედის მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

მუხლი 4. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

ჯონდო მდიენიშვილი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

